

იაპონური ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები

(მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის
2019 წლის 22 მარტის სხდომაზე, ოქმი № 1)

1. იაპონური ბგერითი სისტემის რუსული და რომანიზებული სისტემები

იაპონური ენის სიტყვების, კერძოდ, საკუთარი სახელების ქართული ანბანით წერაში არსებულ ტრადიციას საფუძვლად უდევს რუსულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სისტემა (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1989:7). ხოლო თანამედროვე მასმედიაში იაპონურ საკუთარ სახელებს ხშირად წერენ ლათინურ ტრანსლიტერაციაზე დაყრდნობით. ამის გამო ერთი და იგივე საკუთარი სახელი ზოგჯერ სხვადასხვა ფორმით გვხვდება, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას.

რუსულ სისტემაზე დაფუძნებული ქართულად ტრანსლიტერირებული ფორმები რუსული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე, ზოგჯერ საკმაოდ სცილდება პირველად ენას. მაგალითად, **チ [tʃi]** და **チヂ [tʃi]** ქართულში ტრადიციულად იწერება როგორც **ტი** და **ტია**, რადგან რუსულ ტრანსლიტერაციაში გვხვდება **ти** და **тя**. გასათვალისწინებელია, რომ რუსულში ამ შემთხვევებში გვაქვს „რბილი“ **т**, ანუ თანხმოვანი **т** პალატალიზებულია, რაც ქართულ **ტ**-ს არ ახასიათებს **ტი(ა)** კომბინაციაში. ამის გამო, რუსულ **ти**-სა და **тя**-სთან შედარებით, **ტი** და **ტია** ნაკლებად ასახავს იაპონურ წარმოთქმას. ხოლო იგივე **チ [tʃi]** და **チヂ [tʃi]** გავრცელებულ რომანიზებულ სისტემაში (ე. წ. „ჰეპბერნის“ სისტემა) იწერება როგორც **chi** და **cha**. თუ ქართულში ამის მიხედვით დავწერთ **ჩი**-სა და **ჩა**-ს, ეს უფრო ახლოსაა იაპონური ენის ბგერით სისტემასთან, ვიდრე **ტი** და **ტია**. მსგავსი ვითარებაა რიგ სხვა ბგერათკომბინაციებთანაც: **シ [ʃi] (ci/shi)**, **ジ [(d)ʒi] (ძი/ჯი)** და სხვა. ამიტომ, უმჯობესია იაპონური ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები დაეყრდნოს ლათინურ (რომანიზებულ) სისტემას.

2. იაპონური ენის ბგერითი სისტემა

იაპონურ ენას მოეპოვება ხუთი ხმოვანი: /ი/, /ე/, /ა/, /ო/, /უ/ (უ ჩვეულებრივ წარმოითქმის როგორც [ɥ]). ერთმანეთისაგან განირჩევა მოკლე და გრძელი ხმოვნები (მაგ., **ie** „სახლი“ და **iē** „არა“, **to** „კარი“ და **tō** „ათი“).

იაპონური ენის თანხმოვანთა სისტემაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ზოგი მკვლევარი ცალკე ფონემად მიიჩნევს თანხმოვან **/N/**-ს, რომელიც ერთ „მორას“ ქმნის. გემინაციის პირველი ელემენტიც (აღინიშნება ხოლმე როგორც **/Q/**) ზოგჯერ დამოუკიდებელ ფონემად განიხილება.

ცხრილი 1. იაპონური ენის თანხმოვნები

	ბილაბიალ.	ალვეოლ.	პალატალ.	ველარული	ლარინგალ.
ხშულები	p b	t d		k g	
ნაზალები	m	n		(ŋ)	
აფრიკატები		(ts)			
ფრიკატივები	(φ)	s z			h
ვიბრანტი		r			
ნახევარხმოვნები	w		j		

თანხმოვნები /s/ და /t/ პალატალიზაციას განიცდის /i/-სა ან /j/-ის წინ და, მაგალითად, ხმოვან /i/-სთან ერთად გამოითქმის როგორც /si/ [ci] და /ti/ [tɕi]. როცა /t/-ს ხმოვანი /u/ მოსდევს, ვიღებთ ბგერათთანმიმდევრობას /tu/ [tɕu]. ასევე პალატალიზაციას განიცდის თანხმოვნები /z/ და /d/ ხმოვან /i/-სა ან /j/-ის წინ და მათი ბგერათთანმიმდევრობები ფონეტიკურად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ხმოვან /i/-სთან ერთად, /zi/ და /di/ გამოითქმის ერთნაირად როგორც [(d)zi]. ხმოვან /u/-სთან ერთად კი /zu/ და /du/ გამოითქმის როგორც [(d)zɕu]. აქ ფრიკატივები ([z] და [zɕ]) და აფრიკატივები ([dz] და [dzɕ]) ფონოლოგიურად არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. თანხმოვანი /h/, როცა ხმოვანი /i/ ან /j/ მოსდევს, გამოითქმის როგორც [ç], ხოლო /u/-სთან ერთად როგორც /hu/ [ɸu].

შეიძლება გამოვყოთ თანხმოვანები /f/ და /ts/ შედარებით ახლო წარსულში უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვების გათვალისწინებით, რომლებსაც საშუალებითაც დამკვიდრდა ტრადიციული იაპონურისთვის უცხო ბგერათთანმიმდევრობები, როგორებიცაა, მაგალითად, /fa/, /fi/ და /tse/ (მაგ., (ინგლ. file >) *ჰაირუ* „ფაილი“ და (იტალ. Firenze >) *ჰირენტსე* „ფლორენცია“). ტრადიციული იაპონურის ფარგლებში თანხმოვნები *ჰ* და *ტს*, როგორც წესი, მხოლოდ ხმოვან *u*-ი წინ ისმის და წარმოადგენს /h/-ისა და /t/-ის პოზიციურ ალოფონებს.

რაც შეეხება თანხმოვან *ŋ*-ს, იგი ძირითადად /g/-ის ალოფონია. თანხმოვანი *ŋ* ასევე გვხვდება როგორც /n/-ის პოზიციური ალოფონი ველარული თანხმოვნის წინ (მაგ., /san.ka/ [saŋ.ka] „მონანილეობა“). ფაკულტატიურად /g/ სიტყვის შუაში *ŋ*-ის სახით ვლინდება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგჯერ შეიძლება სიტყვის შუაშიც გვხვდებოდეს *g* და მაშინ, ერთი შეხედვით, *g* და *ŋ*, როგორც ფონემები, უპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათია და მით უმეტეს დღეს იაპონურ ენაზე მეტყველთა დიდი ნაწილი *ŋ*-ს არც გამოიყენებს არასდროს და ყოველთვის *g*-ს წარმოთქვამს. იაპონურ მართლწერაში (და ლათინურ ტრანსლიტერაციაშიც) *ŋ* არ აღინიშნება.

3. ძირითად მარცვალთა სია

მარცვლები ძირითადად ხმოვნით მთავრდება: (C)(j)V. მარცვლის თავში (CV-ის პოზიციაში) ერთზე მეტი თანხმოვანი ვერ თავსდება. ზოგჯერ მარცვლები /n/-ით ან/და გემინაციის პირველი ელემენტიც (Q-თი აღვნიშნავთ) მთავრდება ხოლმე: (C)(j)V(n)(Q). მაგალითად:

V	/i/	„კუჭი“;
jV	/ja/	„ისარი“;
CV	/ki/	„ხე“;
CjV	/kja.ku/	„სტუმარი“;
CVn	/kin.si/	„აკრძალვა“;
CjVn	/kjan.pu/	„ბანაკი“ (< ინგლ. camp);
CVQ	/kip.pu/	„ბილეთი“.

იხილეთ ქვემოთ ცხრილი 2, სადაც წარმოდგენილია ყველა (C)(j)V მარცვალი, რომლებიც ტრადიციულ იაპონურ სიტყვებში გვხვდება.

ცხრილი 2. იაპონური ბგერითი სისტემის ტრანსლიტერაცია

1. იაპონური ანბანი (ჰირაგანა); 2. ფონოლოგიური და (მარტივი) ფონეტიკური ტრანსკრიფცია;
3. სტანდარტული ლათინური ტრანსკრიფცია (ჰეპბერნის რედაქტირებული რომანიზებული სისტემა);
4. სტანდარტული რუსული ტრანსლიტერაცია (პოლივანოვის სისტემა); 5. ქართული ტრანსლიტერაცია.

1	2	3	4	5	1	2	3	4	5	1	2	3
あ	a [a]	a	a	ა	い	i [i]	i	и	ი	う	u [u]	u
か	ka [ka]	ka	ka	კა	き	ki [kji]	ki	ки	კი	く	ku [kwa]	ku
さ	sa [sa]	sa	ca	სა	し	si [ɕi]	shi	си	ში	す	su [swa]	su
た	ta [ta]	ta	ta	ტა	ち	ti [tɕi]	chi	ти	ჩი	つ	tu [tswa]	tsu
な	na [na]	na	na	ნა	に	ni [nji]	ni	ни	ნი	ぬ	nu [nwa]	nu
は	ha [ha]	ha	xa	ჰა	ひ	hi [ɕi]	hi	хи	ჰი	ふ	hu [ɸwa]	fu
ま	ma [ma]	ma	ma	მა	み	Mi [mji]	mi	ми	მი	む	mu [mwa]	mu
や	ja [ja]	ya	ja	ია						ゆ	ju [jwa]	yu
ら	ra [ra]	ra	pa	რა	り	ri [ri]	ri	ри	რი	る	ru [rwa]	ru
わ	wa [wa]	wa	wa	ვა								
ん	n [N]	n	n	ნ								

が	ga [ga]	ga	ga	გა	ぎ	gi [gji]	gi	ги	გი	ぐ	gu [gwa]	gu
ざ	za [dza]	za	dza	ძა	じ	zi [dɕi]	ji	дзи	ჯი	ず	zu [dɕwa]	zu
だ	da [da]	da	da	და	ぢ	di [dɕi]	ji	дзи	ჯი	づ	du [dɕwa]	zu
ば	ba [ba]	ba	ba	ბა	び	bi [bjji]	bi	би	ბი	ぶ	bu [bwa]	bu
ぱ	pa [pa]	pa	pa	პა	ぴ	pi [pjji]	pi	пи	პი	ぷ	pu [pwa]	pu

1. იაპონური ანბანი (ჰირაგანა);
2. ფონოლოგიური და (მარტივი) ფონეტიკური ტრანსკრიფცია;
3. სტანდარტული ლათინური ტრანსკრიფცია (ჰეპბერნის რედაქტირებული რომანიზებული სისტემა);
4. სტანდარტული რუსული ტრანსლიტერაცია (პოლივანოვის სისტემა);
5. ქართული ტრანსლიტერაცია.

4	5	1	2	3	4	5	1	2	3	4	5
y	უ	え	e [e]	e	э	ე	お	o [o]	o	o	ო
ky	კუ	け	ke [ke]	ke	кэ	კე	こ	ko [ko]	ko	ko	კო
cy	სუ	せ	se [se]	se	сэ	სე	そ	so [so]	so	co	სო
cy	ცუ	て	te [te]	te	тэ	ტე	と	to [to]	to	to	ტო
ny	ნუ	ね	ne [ne]	ne	нэ	ნე	の	no [no]	no	no	ნო
fy	ფუ// ჰუ	へ	he [he]	he	хэ	ჰე	ほ	ho [ho]	ho	xo	ჰო
my	მუ	め	me [me]	me	мэ	მე	も	mo [mo]	mo	mo	მო
ю	იუ						よ	jo [jo]	yo	ë	იო
py	რუ	れ	re [re]	re	рэ	რე	ろ	ro [ro]	ro	po	რო
							を	o [o]	o	o	ო

ry	გუ	げ	ge [ge]	ge	гэ	გე	ご	go [go]	go	ro	გო
дзу	ძუ	ぜ	ze [dze]	ze	дзэ	ძე	ぞ	zo [dzo]	zo	dzo	ძო
дзу	ძუ	で	de [de]	de	дэ	დე	ど	do [do]	do	do	დო
by	ბუ	べ	be [be]	be	бэ	ბე	ぼ	bo [bo]	bo	bo	ბო
py	პუ	ぺ	pe [pe]	pe	пэ	პე	ぽ	po [po]	po	no	პო

1. იაპონური ანბანი (ჰირაგანა); 2. ფონოლოგიური და (მარტივი) ფონეტიკური ტრანსკრიფცია;
3. სტანდარტული ლათინური ტრანსკრიფცია (ჰეპბერნის რედაქტირებული რომანიზებული სისტემა);
4. სტანდარტული რუსული ტრანსლიტერაცია (პოლივანოვის სისტემა); 5. ქართული ტრანსლიტერაცია.

1	2	3	4	5	1	2	3
きゃ	kja [kja]	kya	кя	კია	きゅ	kju [kja]	kyu
しゃ	sja [ɕa]	sha	ся	შა	しゅ	sju [ɕa]	shu
ちゃ	tja [tɕa]	cha	тя	ჩა	ちゅ	tju [tɕa]	chu
にゃ	nja [nja]	nya	ня	ნია	にゅ	nju [nja]	nyu
ひゃ	hja [ɕa]	hya	хя	ჰია	ひゅ	hju [ɕa]	hyu
みゃ	mja [mja]	mya	мя	მია	みゅ	mju [mja]	myu
りゃ	rja [rja]	rya	ря	რია	りゅ	rju [rja]	ryu

ぎゃ	gja [gja]	gya	гя	გია	ぎゅ	gju [gja]	gyu
じゃ	zja [dʒa]	ja	дзя	ჯა	じゅ	zju [dʒa]	ju
ぢゃ	zja [dʒa]	ja	дзя	ჯა	ぢゅ	zju [dʒa]	ju
びゃ	bja [bja]	bya	бя	ბია	びゅ	bju [bja]	byu
ぴゃ	pja [pja]	pya	пя	პია	ぴゅ	pju [pja]	pyu

1. იაპონური ანბანი (ჰირაგანა);
2. ფონოლოგიური და (მარტივი) ფონეტიკური ტრანსკრიფცია;
3. სტანდარტული ლათინური ტრანსკრიფცია (ჰეპბერნის რედაქტირებული რომანიზებული სისტემა);
4. სტანდარტული რუსული ტრანსლიტერაცია (პოლივანოვის სისტემა);
5. ქართული ტრანსლიტერაცია.

4	5	1	2	3	4	5
кЮ	კიუ	キ ュ	kjo [kjo]	kyo	kë	კიო
сЮ	შუ	シ ュ	sjo [ʃo]	sho	cë	შო
тЮ	ჩუ	チ ュ	tjo [tʃo]	cho	të	ჩო
нЮ	ნიუ	ニ ュ	njo [njo]	nyo	në	ნიო
хЮ	ჰიუ	ヒ ュ	hjo [ço]	hyo	xë	ჰიო
мЮ	მიუ	ミ ュ	mjo [mjo]	myo	më	მიო
рЮ	რიუ	リ ュ	rjo [rjo]	ryo	pë	რიო

гЮ	გიუ	ギ ュ	gjo [gjo]	gyo	gë	გიო
дзЮ	ჯუ	ジ ュ	zjo [dʒo]	jo	džë	ჯო
дзЮ	ჯუ	ヂ ュ	zjo [dʒo]	jo	džë	ჯო
бЮ	ბიუ	ビ ュ	bjo [bjo]	byo	bë	ბიო
пЮ	პიუ	ピ ュ	pjo [pjo]	pyo	pë	პიო

4. ტრანსლიტერაცია

ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, იაპონურში მოქმედი თანხმოვანთა გემინაცია ქართულში არ აღინიშნება (მაგ., **Hokkaidō** ჰოკაიდო (კუნძული), **Sapporo** საპორო (ქალაქი), **Kobayashi Issa** კობაიაში ისა (პოეტი)). ლათინურ ტრანსლიტერაციაში **ch**-ისა და **ts**-ის გემინაციის დროს მათ წინ იწერება **t** (მაგ., **Kutchan** კუჩანი (ქალაქი), **Suttsu** სუცუ (ქალაქი)). **sh**-ის გემინაციისას კი იწერება მხოლოდ **s** (მაგ., **Nisshin** ნიშინი (ქალაქი)).

ქართულად ტრანსლიტერაციის დროს არ აღინიშნება გრძელი ხმოვანი (მაგ., **Ōsaka** ოსაკა (ქალაქი და პრეფექტურა), **Kyūshū** კიუშუ (კუნძული), მაგრამ ორი იდენტური ხმოვნის თანამიმდევრობა ქართულ ტრანსლიტერირებულ ფორმებში აღინიშნება (მაგ., **Kitaakita** კიტაკიტა (ქალაქი) (კიტა- „ჩრდილოეთი“ დართულია **Akita**-ს)).

სტანდარტული ლათინური ტრანსლიტერაციის წესების მიხედვით ქართული ანბანით იაპონური სიტყვების გადმოსაცემად იხილეთ შემდეგი მაგალითები:

იაპონური (ლათინური ტრანსკრიფცია)	IPA (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი)	ლათინური ტრანსლიტერაცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
あ a	[a]	a	ა	Akita აკიტა (ქალაქი და პრეფექტურა) Abe Kōbō აბე კობო (მწერალი) Asahikawa ასაჰიკავა (ქალაქი) Takamatsu ტაკამაცუ (ქალაქი) Amagasaki ამაგასაკი (ქალაქი)	
ば ba び bi ぶ bu べ be ぼ bo	[b]	b	ბ	Biwa ბივა (ტბა) Ibaraki იბარაკი (პრეფექტურა) Chiba ჩიბა (ქალაქი და პრეფექტურა) Kōbe კობე (ქალაქი) Noboribetsu ნობორიბეტსუ (ქალაქი)	
ち chi ちゅ cha ちゅう chu ちよ cho	[tɕ]	ch	ჩ	Chichibu ჩიჩიბუ (ქალაქი) Aichi აიჩი (პრეფექტურა) Chatan ჩატან-ი (ქალაქი) Chūgoku ჩუგოკუ (რეგიონი) Chikamatsu Monzaemon ჩიკამაცუ მონძაემონი (მწერალი)	
だ da で de ど do	[d]	d	დ	Hokkaidō ჰოკაიდო (კუნძული) Sado სადო (კუნძული) Hakodate ჰაკოდატე (ქალაქი) Ueda უედა (ქალაქი) Dazai Osamu დაძაი ოსამუ (მწერალი)	
え e	[e]	e	ე	Ehime ეჰიმე (პრეფექტურა) Mie მიე (ქალაქი და პრეფექტურა) Shimane შიმანე (პრეფექტურა) Maebashi მაებაში (ქალაქი) Ebetsu ებეტსუ (ქალაქი)	

იაპონური (ლათინური ტრანსკრიფცია)	IPA (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი)	ლათინური ტრანსლიტერაცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
ふ fu	[ɸ]	fu	ფ//ჰ	Fukuoka ფუკუოკა//ჰუკუოკა (ქალაქი და პრეფექტურა) Funabashi ფუნაბაში//ჰუნაბაში (ქალაქი) Kōfu კოფუ//კოჰუ (ქალაქი) უკვე დამკვიდრებულია ფორმები: Fuji ფუჯი//ფუძი (მთა), Fukushima ფუკუშიმა (ქალაქი და პრეფექტურა). ɸ-fu [ɸa]-ს გამოცემა ქართულში დასაშვებია როგორც f, ისე h თანხმობებით.	
が ga ぎ gi ぐ gu げ ge ご go	[g] / [ŋ]	g	ბ	Gifu გიფუ (ქალაქი და პრეფექტურა) Yamaguchi იამაგუჩი (ქალაქი და პრეფექტურა) Nagasaki ნაგასაკი (ქალაქი და პრეფექტურა) Gamagōri გამაგორი (ქალაქი) Ageo აგეო (ქალაქი)	
は ha ひ hi へ he ほ ho	[h] [ç] (i/j-ის წინ)	h	ჰ	Hiroshima ჰიროშიმა (ქალაქი და პრეფექტურა) Naha ნაჰა (ქალაქი) Hachinohe ჰაჩინოჰე (ქალაქი) Katsushika Hokusai კაცუშიკა ჰოკუსაი (ფერმწერი) Ihara Saikaku იჰარა საიკაკუ (მწერალი)	
い i	[i]	i	ი	Ishikawa იშიკავა (პრეფექტურა) Iwate ივატე (პრეფექტურა) Ōita ოიტა (პრეფექტურა და ქალაქი) Ishinomaki იშინომაკი (ქალაქი) Ichinomiya იჩინომიია (ქალაქი)	
じ ja ぢ/ぢじ ji ぢぢ ju じょ jo	[ʒ] / [dʒ]	j	ჯ	Shiojiri შიოჯირი (ქალაქი ნაგანოს პრეფექტურაში) Sanjō სანჯო (ქალაქი) Miyazawa Kenji მიიაცავა კენჯი (მწერალი) Juppensha Ikku ჯუპენშა იკუ (მწერალი) Tanizaki Jun'ichirō ტანიძაკი ჯუნიჩირო (მწერალი)	პარალელურად, ტრადიციისამებრ: judo (jūdō) ძიუდო//ჯუდო Fuji ფუჯი//ფუძი (მთა)

იაპონური (ლათინური ტრანსკრიფცია)	IPA (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი)	ლათინური ტრანსლიტერაცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
か ka き ki < ku け ke こ ko	[k]	k	კ	Kyōto კიოტო (ქალაქი და პრეფექტურა) Okayama ოკაიამა (ქალაქი და პრეფექტურა) Ishikawa Takuboku იშიკავა ტაკუბოკუ (მწერალი) Kōchi კოჩი (ქალაქი და პრეფექტურა)	
ま ma み mi む mu め me も mo	[m]	m	მ	Miyagi (პრეფექტურა) Kumamoto კუმამოტო (ქალაქი და პრეფექტურა) Himeji ჰიმეჯი (ქალაქი) Matsuo Bashō მაცუო ბაშო (პოეტი) Mori Ōgai მორი ოგაი (მწერალი)	
な na に ni ぬ nu ね ne の no ん n	[n] / [N]	n	ნ	Nagano ნაგანო (ქალაქი და პრეფექტურა) Nagoya ნაგოია (ქალაქი) Nemuro ნემურო (ქალაქი) Nikkō ნიკო (ქალაქი) Uonuma უონუმა (ქალაქი) Sendai სენდაი (ქალაქი) Gotenba გოტენბა (ქალაქი)	
お o	[o]	o	ო	Tōkyō ტოკიო (დედაქალაქი) Aomori აომორი (ქალაქი და პრეფექტურა) Okinawa ოკინავა (პრეფექტურა) Ono-no Komachi ონო-ნო კომაჩი (პოეტი) Ōe Kenzaburō ოე კენძაბურო (მწერალი)	

იაპონური (ლათინური ტრანსკრიფცია)	IPA (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი)	ლათინური ტრანსლიტერაცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
𐄂pa 𐄃pi 𐄄pu 𐄅pe 𐄆po	[p]	p	პ	Sapporo საპორო (ქალაქი) Beppu ბეპუ (ქალაქი) Nisekoan-nupuri ნისეკოან-ნუპური (მთა)	
𐄇ra 𐄈ri 𐄉ru 𐄊re 𐄋ro	[r]	r	რ	Nara ნარა (ქალაქი და პრეფექტურა) Kiryū კირიუ (ქალაქი) Kure კურე (ქალაქი) Kushiro კუშირო (ქალაქი) Ryōkan რიოკან-ი (პოეტი)	
𐄌sa 𐄍su 𐄎se 𐄏so	[s]	s	ს	Saitama საიტამა (ქალაქი და პრეფექტურა) Ōsaka ოსაკა (ქალაქი და პრეფექტურა) Kasukabe კასუკაბე (ქალაქი) Isesaki ისესაკი (ქალაქი) Sōka სოკა (ქალაქი) Kobayashi Issa კობაიაში ისა (პოეტი)	
𐄐sha 𐄑shi 𐄒shu 𐄓sho	[ʃ]	sh	შ	Hiroshima ჰიროშიმა (ქალაქი და პრეფექტურა) Shikoku შიკოკუ (კუნძული) Kyūshū კიუშუ (კუნძული) Shinano შინანო (მდინარე) Mishima Yukio მიშიმა იუკიო (მწერალი)	
𐄔ta 𐄕te 𐄖to	[t]	t	ტ	Tateyama ტატეიამა (ქალაქი) Kyōto კიოტო (ქალაქი და პრეფექტურა) Tottori ტოტორი (ქალაქი და პრეფექტურა) Tendō ტენდო (ქალაქი) Tokugawa Ieyasu ტოკუგავა იეიასუ (მხედართმთავარი)	

იაპონური (ლათინური ტრანსკრიფცია)	IPA (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი)	ლათინური ტრანსლიტერაცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
つsu	[ts]	ts	ც	Tsukuba ცუკუბა (ქალაქი) Matsuo Bashō მაცუო ბაშო (პოეტი) Kusatsu კუსაცუ (ქალაქი) Natsume Sōseki ნაცუმე სოსეკი (მწერალი)	
うu	[u]	u	უ	Utsunomiya უცუნომიია (ქალაქი) Tsuchiura ცუჩიურა (ქალაქი) Otaru ოტარუ (ქალაქი) Suzuka სუძუკა (ქალაქი) Kitagawa Utamaro კიტაგავა უტამარო (ფერმწერი)	
わwa	[u]	w	ვ	Wakayama ვაკაიამა (ქალაქი და პრეფექტურა) Awaji ავაჯი (კუნძული) Iwamizawa ივამიძავა (ქალაქი) Okinawa ოკინავა (პრეფექტურა) Kawabata Yasunari კავაბატა იასუნარი (მწერალი)	
やya ゆyu よyo	[j]	y	ი	Yamanashi იამანაში (ქალაქი და პრეფექტურა) Toyohashi ტოიოჰაში (ქალაქი) Hyōgo ჰიოგო (პრეფექტურა) Saigyō საიგო (პოეტი) Kitakyūshū კიტაკიუშუ (ქალაქი)	
ざz ず/づzu ぜze ぞzo	[z] / [dz]	z	ძ	Zeami ძეამი (დრამატურგი) Kanazawa კანაძავა (ქალაქი) Kazo კაძო (ქალაქი) Ōe Kenzaburō ოე კენძაბურო (მწერალი) Ozu Yasujirō ოძუ იასუჯირო (კინორეჟისორი)	